

**შპს „აქტივ ბათუმი“
445384753**

**ფინანსური ანგარიშგება
2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სექტემბერი 2023
თბილისი

შპს „აქთვი ბათუმი“

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აქტივ ბათუმი“-ის ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აქტივ ბათუმი“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „აქტივ ბათუმი“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SME) შესაბამისად.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IASs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2022 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

მნიშვნელოვანი გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღაღებია ფინანსურ ანგარიშგებაში საკუთარი კაპიტალის ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის 71,720,714 ათასი ლარით აღემატება მის აქტივებს, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შემცირდა 6 424 899 ლარით და უარყოფითმა სხვაობამ შეადგინა 65,295,815 ლარი ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვაობა შემცირდა 13,215,187 ლარით და შეადგინა 52,080,628 ლარი. ამავე დროს 2021 წლის ბოლოს პირველად დაფიქსირდა კომპანიის ვალდებულებების კლება მის აქტივებთან მიმართებით, ეს დინამიკა გაგრძელდა 2022 წელსაც, შედარებისთვის 2020 წლის განმავლობაში კომპანიის ვალდებულებები აქტივებთან მიმართებით 28 317 325 ლარით გაიზარდა.

ეს მოვლენა მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე შპს აქტივ ბათუმის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა აღნიშნავთ, რომ კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისგან, მათ შორის სს თი ბი სი ბანკისგანაც, რომელმაც ზემოთ მოყვანილი გარემოებები არ ცნო სარისკოდ, რაზეც მიუთითებს სესხის გაცემის ფაქტი. გარემოებები რომლებმაც შესაძლოა საეჭვოს გახადოს საწარმოს ფუნქციონირების უნარს მომდევნო 12 თვიან პერიოდში ვფიქრობთ რომ არ არსებობს. აღნიშნულ საკითხზე განმარტებები მოცემულია განმარტებითი შენიშვნების მე-3 განყოფილებაში. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ IAS-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი IAS-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიშვებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის

მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427).

28 სექტემბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო

მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427).

28 სექტემბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო



შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ.2022	01-იან-2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	66,845,648	68,213,497
არამატერიალური აქტივები	5	41,915	63,804
სულ გრძელვადიანი აქტივები		66,887,563	68,277,301
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	873,734	967,137
ფული და ფულის ექვივალენტები	7	68,881	652,369
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	551,370	631,106
გადახდილი ავანსები	9	65,119	460,113
სხვა მიმდინარე აქტივები		-	20,587
სულ მიმდინარე აქტივები		1,559,104	2,731,312
სულ აქტივები		68,446,667	71,008,613
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	200	200
დაუფარავი ზარალი	10	(65,296,015)	(65,296,015)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10	13,215,187	-
სულ კაპიტალი		(52,080,628)	(65,295,815)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	94,948,409	111,368,768
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		94,948,409	111,368,768
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	11	22,066,090	21,164,250
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3,034,108	3,354,648
საგადასახადო ვალდებულებები		275,963	261,994
მიღებული ავანსები	13	160,958	120,940
გადასახდელი ხელფასები		41,767	33,828
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,578,885	24,935,660
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		68,446,667	71,008,613

ხელმომწერი პირები:

მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვრდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვრდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ.2022	01-იან-2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	66,845,648	68,213,497
არამატერიალური აქტივები	5	41,915	63,804
სულ გრძელვადიანი აქტივები		66,887,563	68,277,301
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	873,734	967,137
ფული და ფულის ექვივალენტები	7	68,881	652,369
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	551,370	631,106
გადახდილი ავანსები	9	65,119	460,113
სხვა მიმდინარე აქტივები		-	20,587
სულ მიმდინარე აქტივები		1,559,104	2,731,312
სულ აქტივები		68,446,667	71,008,613
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	200	200
დაუფარავი ზარალი	10	(65,296,015)	(65,296,015)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10	13,215,187	-
სულ კაპიტალი		(52,080,628)	(65,295,815)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	94,948,409	111,368,768
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		94,948,409	111,368,768
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	11	22,066,090	21,164,250
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3,034,108	3,354,648
საგადასახადო ვალდებულებები		275,963	261,994
მიღებული ავანსები	13	160,958	120,940
გადასახდელი ხელფასები		41,767	33,828
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,578,885	24,935,660
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		68,446,667	71,008,613

ხელმოწერილი პირები:

მინდობილი პირი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი:

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რელიზაციიდან	14	12,304,392	9,290,554
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(4,585,940)	(3,184,117)
საერთო მოგება		7,718,452	6,106,438
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,680,723)	(4,727,677)
მიწოდების ხარჯები		(3,010)	-
საოპერაციო მოგება		2,034,719	1,378,761
ფინანსური ხარჯები	17	(6,057,656)	(6,460,803)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	18	17,241,541	11,281,265
არასაოპერაციო შემოსავლები		19,131	232,827
არასაოპერაციო ხარჯები		(22,229)	(6,704)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		13,215,507	6,425,345
მოგების გადასახადი		(320)	(446)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		13,215,187	6,424,899
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		13,215,187	6,424,899

ხელმოწერილი პირები:

მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რელიზაციიდან	14	12,304,392	9,290,554
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(4,585,940)	(3,184,117)
საერთო მოგება		7,718,452	6,106,438
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,680,723)	(4,727,677)
მიწოდების ხარჯები		(3,010)	-
საოპერაციო მოგება		2,034,719	1,378,761
ფინანსური ხარჯები	17	(6,057,656)	(6,460,803)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	18	17,241,541	11,281,265
არასაოპერაციო შემოსავლები		19,131	232,827
არასაოპერაციო ხარჯები		(22,229)	(6,704)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		13,215,507	6,425,345
მოგების გადასახადი		(320)	(446)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		13,215,187	6,424,899
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		13,215,187	6,424,899

ხელმომწერი პირები:

მინდობილი პირი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი:

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	200	(71,720,913)	(71,720,714)
პერიოდის შედეგი	-	6,424,899	6,424,899
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(65,296,014)	(65,295,815)
პერიოდის შედეგი	-	13,215,187	13,215,187
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(52,080,827)	(52,080,628)

ხელმომწერი პირები:

მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	200	(71,720,913)	(71,720,714)
პერიოდის შედეგი	-	6,424,899	6,424,899
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(65,296,014)	(65,295,815)
პერიოდის შედეგი	-	13,215,187	13,215,187
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(52,080,827)	(52,080,628)

ხელმომწერი პირები:

მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	13,215,507	6,425,345
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,917,323	2,134,323
მოგების გადასახადის ხარჯი	(320)	(446)
	15,132,510	8,559,222
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	93,402	(60,664)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	79,736	(162,878)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	394,994	(372,694)
(ზრდა)/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში	20,587	100,598
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(320,540)	(420,780)
ზრდა/(შემცირება) მიმდინარე საპროცენტო ვალდებულებებში	901,839	2,058,238
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	13,969	98,020
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავანსებში	40,018	(669,977)
ზრდა/(შემცირება) გადასახდელ ხელფასებში	7,939	(74,006)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	16,364,456	9,055,080
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(585,133)	(26,566)
ძირითადი საშუალებების გასვლა	57,548	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(527,585)	(26,566)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) სასესხო ვალდებულებებში	(16,420,359)	(8,459,270)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(16,420,359)	(8,459,270)
ფულადი და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(583,488)	569,243
ფული და ფულის ექვივალენტების პერიოდის დასაწყისში	652,369	83,126
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	68,881	652,369

ხელმოწერილი პირები:

მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	13,215,507	6,425,345
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,917,323	2,134,323
მოგების გადასახადის ხარჯი	(320)	(446)
	15,132,510	8,559,222
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	93,402	(60,664)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	79,736	(162,878)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	394,994	(372,694)
(ზრდა)/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში	20,587	100,598
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(320,540)	(420,780)
ზრდა/(შემცირება) მიმდინარე საპროცენტო ვალდებულებებში	901,839	2,058,238
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	13,969	98,020
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავანსებში	40,018	(669,977)
ზრდა/(შემცირება) გადასახდელ ხელფასებში	7,939	(74,006)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	16,364,456	9,055,080
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(585,133)	(26,566)
ძირითადი საშუალებების გასვლა	57,548	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(527,585)	(26,566)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) სასესხო ვალდებულებებში	(16,420,359)	(8,459,270)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(16,420,359)	(8,459,270)
ფულადი და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(583,488)	569,243
ფული და ფულის ექვივალენტების პერიოდის დასაწყისში	652,369	83,126
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	68,881	652,369

ხელმომწერი პირები:

მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი:

28 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვარდებაზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვარდებაზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება:	შპს აქტივ ბათუმი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	445384753
რეგისტრაციის თარიღი:	30/03/2010
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, თამარის დასახლება, ბნე ტერიტორია
სავაჭრო მერკები:	„ვინდჰემ ბათუმი“, „სპა ვიქტორია“, „რესტორანი ა ლა თურქა“

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - მეჰმეთ აქთაშ, 48766639560, TR-V №629553, თურქეთი.

მესაკუთრეები

100%-იანი წილის მფლობელი - სუდი ოზქან, 54655075906, U10749092, თურქეთი.

შპს აქტივ ბათუმის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო, რესტორანი, სპა და საცურაო აუზით მომსახურება.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- ❑ 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- ❑ მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- ❑ მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ ადრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა


ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება


შპს აქტივ ბათუმი არის ფუნქციონირებადი საწარმო და გრძელვადიან პერიოდში გეგმავს გააგრძელოს აქტიური საქმიანობა, თავისი გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყარო არის სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

შპს აქტივ ბათუმი დაფუძნდა 2010 წელს განახორციელა 60 000 000.00 ლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, თუმცა აქტიური სამეწარმეო საქმიანობა 2017 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში შევიდა. კომპანია ბაზარზე ოპერირებს მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი Wyndham Worldwide Group-ის ფრენშიაზი სასტუმრო Wyndham Batumi ქვეშ. დასაქმებული ჰყავს უწყვეტად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საშუალოდ 125 თანამშრომელი.

კომპანია სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებას ეწევა უკვე მე-6-ე წელია და აღნიშნულ სეგმენტში წარმატებულად ოპერირებს რეგიონში, ყოველწლიურად იზრდება აქტიურ ვიზიტორთა რაოდენობა, რაც ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამებში თვალნათლივ არის ასახული:




სასტუმროს ოთახების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 2022 წელი (დღგ-ს გარეშე)



რაც შეეხება, კომპანიის ვალდებულებების ნაწილს რომელიც შედგება ძირითადად სესხებით, კერძოდ:

კომპანიის გრძელვადიანი სესხები (ლარში)



გრძელვადიანი სესხების 45%-ს შეადგენს IRADA LIECHTENSTEIN-ისგან მიღებული სესხი, რომელიც ასახულია კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში რადგანაც IRADA LIECHTENSTEIN-ი წარმოადგენდა კომპანიის დამფუძნებელს 2018 წლიდან იგი აღარ წარმოადგენს კომპანიის პარტნიორს. შესაბამისად შეიძლება ფირმას დაუდგეს გრძელვადიანი სესხის ვადაზე ადრე დაფარვის ვალდებულებას, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ლიკვიდურობაზე.

ამავე დროს ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ კერძო საფინანსო ინსტიტუტმა (სს თიბისი ბანკი) კომპანიის ვალდებულებები არ მიიჩნია სარისკოდ და 2019 წლის იანვარში კომპანიაზე მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვის მიზნით გასცა გრძელვადიანი სესხი - 11 500 000 ევროს ოდენობით, 10 წლიანი ვადით, ხოლო 2020 წელს დამატებით გასცა 547 243 ევრო.

აღსანიშნავია რომ კომპანიამ 2021 წელს პირველად მიიღო მოგება 6,424,899 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წელს მიიღო 13,215,187 ლარის მოგება (შედარებისთვის 2020 წელს კომპანიას 28,317,325 ლარის ზარალი ჰქონდა).

კომპანიამ წარმატებისთ გადალახა პანდემიის პერიოდი და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კომპანიის მოგება საანგარიშგებო პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით გაორმაგდა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. როგორც ავღნიშნეთ აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მცირა და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განყოფილების (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოთხოვნათა შესაბამისად). ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

კომპანიის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღია 2010 წლის 30 მარტი და დაარსების დღიდან დღემდე ბუღალტერიას აწარმოებს საბუღალტრო პროგრამა ORIS-ში, ხოლო კომპანიის შიდა აუდიტი იყენებს საბუღალტრო პროგრამა INFO-ს. ფინანსურ ანგარიშგების შედგენა ევალება მთავარი ბუღალტერს, ფინანსურ ანგარიშგების მომზადებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება (მსს ფასს-ის) მე-17 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი სტანდარტის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტიდან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები	- 2-4 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 8-10 %
კომპიუტერული და სხვა ელ. ტექნიკა	- 20 %
სარეკლამო ინვენტარი	- 8 %

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება. როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა უნდა აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება მსს ფასს-ის 23 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება. თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საკურსო სხვაობების აღიარება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, მსს ფასს-ის 23-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ნაწილობრივ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო საკასო აპარატებით.

სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, სალაროს ოპერაციებს მოლარე ოპერატორები და მთავარი მოლარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის მსს ფასს-ის 30-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს კომპანია აღრიცხავს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: მსს ფასს მე-11 განყოფილება «ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები», მსს ფასს მე-12 განყოფილების «სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები»

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – მოიცავს მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებთან დაკავშირებულ სავაჭრო ვალდებულებების რეზერვს, თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებს, გადახდილ ავანსებს და სხვა დებიტორულ დავალიანებებს. დებიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის წინაშე წარმოქმნილ კონტრაგენტების დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები – მოიცავს მომსახურების გაწევის დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს კონტრაგენტების წინაშე, სახელფასო ვალდებულებებს, მიღებულ ავანსებსა და სხვა არასავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

კონტრაგენტი – არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სხვა კაპიტალური ოპერაციების დროს გარიგებაში მონაწილე მხარე.

დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ამორტიზებადი ღირებულება – არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება საწყისი აღიარების დროს, შემცირებული ძირითადი გადასახდელი თანხებით, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული ამორტიზაციით და გამოკლებული (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი – განსაზღვრავს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილებას უზრუნველყოფს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს.

კლასიფიკაცია და დაჯგუფება

ადრიცხვის მიზნებისთვის კომპანია აღიარებს დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების შემდეგ კლასიფიკაციას:

- მოკლევადიანი – არის ანგარიშები, რომელთა შესაძლო დაფარვის ვადა განისაზღვრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ 12 თვით.
- გრძელვადიანი – სხვა ყველა დანარჩენი

აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საწყისი აღიარება და შეფასების კრიტერიუმები

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების (შეთანხმების) მონაწილე და სრულდება შემდეგი პირობები:

- არსებობს აღნიშნული აქტივიდან (ვალდებულებიდან) ეკონომიკური სარგებელის მიღების (გასვლის) მაღალი ალბათობა;
- აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

თავდაპირველი აღიარებისას დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები ფასდება რეალური ღირებულებით (გარიგების ღირებულებით), გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები შემდგომ ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან
- იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მსს ფასს-ის 21-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად, კონტრაგენტებთან დადებული გარიგებების საფუძველზე, იდენტიფიცირება ხდება ვადაგადაცილებული დებიტორების, რომლებზეც ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება შესაძლო გაუფასურების ანალიზი.

ანალიზის დროს ფასდება მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მოცულობა და ხდება საბალანსო და მომავალში მისაღებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება, სხვაობის არსებობის შემთხვევაში დებიტორს ერიცხება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა (ჩათვლა)

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა უნდა მოხდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახოს ნეტო თანხით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება; და

ბ) საწარმო ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს.

ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება.

წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, რომ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე, როდესაც ასეთი წარდგენა ასახავს საწარმოში მოსალოდნელ ფულადი სახსრების ნაკადს, ორი ან ორზე მეტი ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტით ანგარიშსწორებიდან. როდესაც საწარმოს მხოლოდ ერთი ნეტო თანხის მიღების ან გადახდის უფლება აქვს და ამის გაკეთებას აპირებს, ეს ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება აქვს. სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარედგინება ცალ-ცალკე, მათი მახასიათებლების მიხედვით, საწარმოს რესურსების ან ვალდებულებების სახით.

მომწოდებლებთან ანგარიშწორების აღრიცხვა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის 30-ე განყოფილების მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება არასაოპერაციო შემოსავალში ან ზარალში.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

აღირიცხება მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნათა მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდარტის მიხედვით.

იჯარის აღრიცხვა

იჯარა აღირიცხება მსს ფასს-ის მე-20 განყოფილების მოთხოვნათა მიხედვით. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია, როგორც მეიჯარე

მეიჯარემ ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული აქტივები უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარადგინოს, როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.

მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია არის შემდეგი ორი სიდიდის ერთობლიობა:

- (ა) ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები; და
- (ბ) მეიჯარის სასარგებლოდ დარიცხული მთელი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

დამატებითი ღირებულებების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია (გარდა აზარტული თამაშებისა) იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, რაც განთავსუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

კომპანიას უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი, დანაკლისები დაბეგრული აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგრვა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამშომსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგრასთან დაკავშირებით.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ღივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდეს აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავალი

ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად მისაღები საქონლის და მომსახურების საფასური აღირიცხება მიღებული ან მისაღები რეალური ღირებულებით, რასაც შესაძლოა, დააკლდეს სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება როგორც წესი ხდება მომხმარებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ან საცალო რეალიზაციის შემთხვევაში სასაქონლო ზედნაღების გაცემის მომენტში, რომლითაც მფლობელობის რისკები გადასულია მომხმარებელზე, შესაბამისი გადასახადის მიღება სავარაუდოა, შესაძლო ფასდაკლებები იოლად გამოთვალადია, მენეჯმენტის ხანგრძლივი ჩარევა აღარ არის საჭირო და მისაღები შემოსავლის მოცულობა საიმედოდ გამოითვლება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან აშენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურალუტაში, ლარში, გარიგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი გადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

გადასახადები

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს ღდგ-ის აქტივს, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივს / წინასწარ გადახდილ ხარჯს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით.

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი საიმედოდ გაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას (სალიკვიდაციო ღირებულება) შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახდავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგან მისაღებ ფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულები ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განამთვით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს, მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებელთან და კლასიფიცირდება კაპიტალად.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;
- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურისა;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

მსს ფასს-ში განახლება ან ცვლილებები, წინა საანგარიშგებო პერიოდიდან შედგენიდან მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, არ მომხდარა.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

ფასს 16 - ფინანსური იჯარა

ფასს 16, „ფინანსური იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა (გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს აღიგლი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ასს 28-ში „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ავჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული და სხვა ელ. ტექნიკა	სარეკლამო ინვენტარი	არაამორტიზ ირებადი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 01.01.2022	874,750	71,776,984	2,295,686	2,171,405	330,151	27,501	77,476,477
შეძენა	-	531,719	12,170	41,244	-	-	585,133
გასვლა	-	-	-	-	(57,548)	-	(57,548)
ბალანსი 31.12.2022	874,750	72,308,703	2,307,855	2,212,650	272,603	27,501	78,004,062
აკუმულირებული ამორტიზაცია							
01.01.2022	-	(6,479,996)	(957,205)	(1,695,473)	(130,307)	-	(9,262,981)
ამორტიზაციის ხარჯი	-	(1,442,833)	(219,007)	(234,804)	(21,808)	-	(1,918,452)
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	-	-	-	23,019	-	23,019
აკუმულირებული ამორტიზაცია							
31.12.2022	-	(7,922,829)	(1,176,212)	(1,930,277)	(129,096)	-	(11,158,414)
ნარჩენი ღირებულება 01.01.2022	874,750	65,296,988	1,338,481	475,933	199,844	27,501	68,213,497
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	874,750	64,385,874	1,131,644	282,373	143,507	27,501	66,845,648

5. არამატერიალური აქტივები

კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები

ბალანსი 01.01.2022	158,074
შეძენა	-
გასვლა	-
ბალანსი 31.12.2022	158,074
აკუმულირებული ამორტიზაცია 01.01.2022	(94,270)
ამორტიზაციის ხარჯი	(21,889)
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2022	(116,159)
ნარჩენი ღირებულება 01.01.2022	63,804
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	41,915

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები	31-დეკ-2022	01-იან-2022
სამეურნეო საქონელი	388,684	408,384
ჭურჭელი	295,172	293,926
საკვები პროდუქტები	38,664	37,599
სასმელი პროდუქტები	35,669	38,574
თეთრეული	31,471	40,869

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საწვავი	11,724	11,724
საკანცელარიო საქონელი	5,560	2,728
ჭირჭელი	84	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	66,706	133,332
ჯამი	873,734	967,137

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით. სარეალიზაციო საქონლის არსებითად დიდ ნაწილს წარმოადგენს საკვები და სასმელი პროდუქტები.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2022	01-იან-2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	35,425	32,874
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	33,455	380,228
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	239,268
ჯამი	68,881	652,369

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2022	01-იან-2022
მოთხოვნები იწოდებიდან და მომსახურებიდან	133,897	217,073
გამოქვითული საექვო მოთხოვნები - სასამართლო დავები	230,880	230,880
წინასწარ გადახდილი ხელფასები	-	12,949
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	72
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	186,593	170,131
ჯამი	551,370	631,106

კომპანიაში არსებული საექვო მოთხოვნები აღრიცხულია „გამოქვითულ სავაჭრო მოთხოვნებში“, აღნიშნულ ანგარიშზე არსებულ ყველა დებიტორულ დავალიანებაზე მიმდინარეობს სასამართლო დავები.

9. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31-დეკ-2022	01-იან-2022
ადგილობრივ მომწოდებლებზე	19,839	453,438
უცხელ მომწოდებლებზე	45,280	6,675
ჯამი	65,119	460,113

მოცემული ავანსები შედგება, კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისგან.

10. კაპიტალი

2021 წლის 1 იანვრისთვის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 200 ლარს. აკუმულირებული ზარალი კი 71,720,914 ლარს. 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 6,424,899 ლარის მოგება, რის შედეგადაც 2021 წლის ბოლოს კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა 65,296,015 ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანი კაპიტალმა 65,295,815 ლარის უარყოფითი ნაშთი შეადგინა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 13,215,187 ლარი მოგება, რის შედეგადაც კომპანიის კაპიტალის უარყოფითი ნაშთი, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩემცირდა 52,080,628 ლარამდე. საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ მომხდარა.

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	31-დეკ-2022	01-იან-2022
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	94,948,409	111,368,768

გამსესხებელი	სესხის ძირი 01.01.2022	სესხის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	სესხის ძირის დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	სესხის ძირი 31.12.2022
IRADA (Liechtenstein)	48,892,317	-	6,254,795	42,637,523
Sudi Ozkan	1,242,872	-	971,340	271,532
შპს პრინცეს ბათუმი	13,209,826	3,853,000	-	17,062,826
შპს ბათუმი პეტროლიუმ	161,938	-	161,938	-
Pleasure Company AD	700,800	-	123,920	576,880
შპს ქინგ	6,868,519	43,336	2,737,498	4,174,357
ს/ს თი ბი სი ბანკი	40,292,496	-	10,067,205	30,225,291
ჯამი	111,368,768	3,896,336	20,316,695	94,948,409

გამსესხებელი	საპროცენტო ვალდებულების ზრდა საპროცენტო ვალდებულება 01.01.2022	საპროცენტო ვალდებულების ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	საპროცენტო ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	საპროცენტო ვალდებულება 31.12.2022
IRADA (Liechtenstein)	14,783,816	1,837,100	2,021,015	14,599,901
ს/ს თი ბი სი ბანკი	49,843	2,170,382	2,187,139	33,085
შპს პრინცეს ბათუმი	5,558,358	1,522,201	-	7,080,559
შპს ქინგ	-	421,632	421,632	-
Sudi Ozkan	132,395	82,710	28,834	186,271
Pleasure Company AD	71,731	24,530	14,139	82,122
შპს ბათუმი პეტროლიუმ	568,107	2,428	486,385	84,151
ჯამი	21,164,250	6,060,983	5,159,144	22,066,090

გამსესხებელი	სესხის საჯარიმო	საანგარიშგებო პერიოდის	საანგარიშგებო პერიოდის	სესხის საჯარიმო
--------------	--------------------	---------------------------	---------------------------	--------------------

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	ვალდებულება 01.01.2022	განმავლობაში სესხზე დარიცხული ჯარიმა	განმავლობაში სესხზე დარიცხული ჯარიმის დაფარვა	ვალდებულება 31.12.2022
ს/ს თი ბი სი ბანკი	236,383	-	41,799	194,584

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2022	01-იან-2022
უცხოური კომპანიების მიერ საქონლის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,351,700	2,804,709
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	204,356	157,366
პირობითი ვალდებულებები თი ბი სი ბანკის მიმართ	194,584	236,383
უცხოური კომპანიების მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	150,660	135,528
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	116,354	11,235
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს წინაშე	16,453	9,428
ჯამი	3,034,108	3,354,648

13. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები	31-დეკ-2022	01-იან-2022
მიღებული ავანსები	160,958	120,940

ავანსების უდიდესი ნაწილი მიღებულია კომპანიისგან რომელიც ეწევა ტურისტების მოძიება-მოყვანის მომსახურებას.

14. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი ნომრებიდან	7,974,211	5,958,203
შემოსავალი კვების ბლოკიდან	2,285,091	1,677,090
შემოსავალი იჯარიდან	1,522,682	1,177,013
შემოსავალი სასმელების ბლოკიდან	470,741	371,448
სხვა შემოსავალი	51,667	106,800
ჯამი	12,304,392	9,290,554

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2022 წელი	2021 წელი
სხვადასხვა თვითღირებულების ხარჯები	1,741,327	1,334,260
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	1,904,560	1,237,523
შეკეთების ხარჯი	101,208	40,380

შპს „აქტივ ბათუმი“

**ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

საკვები და სასმელი პროდუქტები	838,846	571,954
ჯამი	4,585,940	3,184,117

სხვადასხვა თვითღირებულების ხარჯები შედგება დასუფთავების ხარჯისგან (209,796 ლარი), ფრანჩაიზინგის ხარჯისგან (572,415 ლარი), პერსონალის კვების ხარჯისგან (248,725 ლარი). დაჯავშნის მომსახურების ხარჯისგან (371,523 ლარი) და სხვა.

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
ამორტიზაციის ხარჯი	1,940,342	2,134,323
კომუნალური ხარჯი	1,408,122	981,544
ხელფასის ხარჯი	1,154,060	786,421
საგადასახადო ხარჯი (ადმინისტრაციული)	670,760	92,336
დაზღვევის ხარჯი	190,227	208,357
საბანკო მომსახურების ხარჯი	106,037	64,499
საიჯარო ქირის ხარჯი	74,434	49,174
საკომუნიკაციო ხარჯი	58,379	45,604
მივლინების ხარჯი	6,601	4,899
არარეზიდენტებზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	5,218	2,529
სესხის გაცემის საკომისიო	-	200,646
ჯარიმების ხარჯი	-	107,049
სხვადასხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	66,542	50,297
ჯამი	5,680,723	4,727,677

17. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯი	6,057,656	6,460,803

18. საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2022 წელი	2021 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	17,241,541	11,281,264

საკურსო სხვაობით მიღებული მოგების უდიდესი ნაწილი შედგება, წლის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების ნაშთის გადაფასებისაგან.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს 33.2 -მუხლით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამჟამად ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს – 2015 წ. 316 © IFRS Foundation მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(iv) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(v) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vi) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(vii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან:

პარტნიორები: 100%-იანი წილის მფლობელი - სუდი ოზქან, 54655075906, U10749092, თურქეთი;

დირექტორი: მეჰმეთ აქთაშ, 48766639560, TR-V №629553, თურქეთი;

კომპანიები: შპს ბათუმი პეტროლიუმი ს/ნ: 445388624.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	2022 წელი	2021 წელი
მენეჯმენტის დარიცხული ხელფასი	263,350	180,866

შპს „აქტივ ბათუმი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან

გამსესხებელი	სესხის ძირი 01.01.2022	სესხის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	სესხის ძირის დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	სესხის ძირი 31.12.2022
Sudi Ozkan	1,242,872	-	971,340	271,532

გამსესხებელი	საპროცენტო ვალდებულება 01.01.2022	საპროცენტო ვალდებულების ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	საპროცენტო ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	საპროცენტო ვალდებულება 31.12.2022
Sudi Ozkan	132,395	82,710	28,834	186,271

გამსესხებელი	სესხის ძირი 01.01.2022	სესხის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	სესხის ძირის დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	სესხის ძირი 31.12.2022
შპს ბათუმი პეტროლიუმ	161,938	-	161,938	-

გამსესხებელი	საპროცენტო ვალდებულება 01.01.2022	საპროცენტო ვალდებულების ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	საპროცენტო ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	საპროცენტო ვალდებულება 31.12.2022
შპს ბათუმი პეტროლიუმ	568,107	2,428	486,385	84,151

20. რისკის მართვა

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განაგრძონ ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიაღდება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვინებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.

კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ღონისძიებების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი


საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს, რაც გავლენას იქონიებდა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

WYNDHAM BATUMI HOTEL



სარჩევი

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	2
2. კომპანიის მმართველობითი ორგანოებია	3
3. კომპანიის სამომავლო გეგმები	4
4. კომპანიის კაპიტალი	7

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს აქტივ ბათუმი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი Wyndham Worldwide Group-ის ფრენშიაიზი სასტუმრო „Wyndham Batumi“ საქართველოში. Wyndham სასტუმრო ჯგუფი, ასევე წარმოადგენს ბრენდებს ფრანჩაიზინგის, საკუთრების, დასვენების და ბინების გაქირავების სფეროში. Wyndham Worldwide Group-ი წარმოადგენილია - 9 000-ზე მეტი სასტუმროს 21 ბრენდთან 75-ზე მეტ ქვეყანაში ექვსი კონტინენტზე, რომლებიც კონკურენციას ახდენენ მთელ მსოფლიო ბაზარზე, როგორც მაღალი კლასის, ასევე საშუალო და ეკონომკლასის სეგმენტში. კომპანიის სათაო ოფისია აშშ-ში (ორლანდო, ფლორიდა). Wyndham-ში დასაქმებულია - 40 000 ათასზე მეტი თანამშრომელი მთელს მსოფლიოში.

კომპანია, როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოში საბინაო მენეჯმენტის სერვისები უზრუნველყოფის მაღალი ხარისხის მეშვეობით შპს აქტივ ბათუმის სასტუმრო „Wyndham Batumi“-ის მაღალი დონის ობიექტშია განთავსებული. ზემოთ აღნიშნული სერვისების ნახვა, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით შესაძლებელია შემდეგ მისამართზე - *ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. №33*.

დღეის მდგომარეობით კომპანიას სასტუმრო სეგმენტის ბაზარზე აქვს 7 წლის მუშაობის გამოცდილება, სასტუმრო დიდი კონკურენციის მიუხედავად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას, რაც მიღწეულია მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევით.

სასტუმროში განთავსებულია - **146 ნომერი**, რომელიც იყოფა ოთხ კატეგორიად: **სტანდარტული, დელუქსი, ჯუნიორ სვითი და საპრეზიდენტო**. თითოეული ნომრიდან იშლება ულამაზესი ხედი, როგორც ზღვის სანაპიროზე, ასევე მთებში. კომპანია სტუმრებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ბრენდული კაზინოს და სპის მომსახურებით, მშრალი, მარილის და მცენარეული საუნით, ორთქლის ოთახით, თურქული ჰამამით, VIP მომსახურებით, დახურული საცურაო აუზით, სავარჯიშო დარბაზით, სილამაზის სალონით, კოსმეტიკური კაბინეტით, ლობი ბარითა და რესტორნებით.

სასტუმროს გააჩნია შიდა და გარე პარკინგი, ბიზნეს ცენტრი, ოთხი შეხვედრის ოთახი, ერთი საკონფერენციო დარბაზი, ერთი სარიტუალო დარბაზი, ღია ტერასა, ერთი ნომერი უნარშეზღუდულებისთვის, 24/7 მიმღები ადმინისტრაცია, 24/7 ოთახებში მომსახურების სერვისი.

შპს აქტივ ბათუმი (ს/ნ - 445384753) სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღია 2010 წლის 30 მარტი. შპს აქტივ ბათუმი-ს მესაკუთრეა სუდი ოზქანი (თურქეთი) 100%-იანი წილით.

2. კომპანიის მმართველობითი ორგანოებია

ა). პარტნიორთა კრება;

ბ). დირექტორი.

კომპანიის მართვა ხორციელდება საზოგადოების შინაგანაწესით.

ა). პარტნიორთა კრების ფუნქციებია:

- წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- ფილიალის შექმნა, ლიკვიდაცია, კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- ინვესტიციების, ვალდებულებების აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუ მათი ღირებულება არ აღემატება კამპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;
- დირექტორ(ები)ის დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- წმინდა მოგების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება.

ბ). დირექტორი:

- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება;
- წარმოადგენს კომპანიას მესამე პირთან;
- კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა.
- მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი და ა.შ.

3. კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანიამ შემოსავლების გაზრდის მიზნით მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა გრძელვადიან მარკეტინგულ ღონისძიებებს, მათ შორის გაიზარდა ონლაინ გაყიდვები Booking.com-სა და Expedia-ზე. ასევე, 2022 წელს სასტუმრო Wyndham Batumi-ის მიერ გაფორმებულია და შესრულებულია სხვადასხვა გრძელვადიანი ხელშეკრულებები მსხვილ კომპანიებთან სასტუმროს მომსახურებაზე, კერძოდ:


- კაზინო - Princess Batumi;
- ტურისტული კომპანია - Professional Travel Service;
- ტურისტული კომპანია - JSC Georgia Destination Management;
- ტურისტული კომპანია - Kenzi Travel Georgia;
- ტურისტული კომპანია - Jon Travel Georgia;
- ტურისტული კომპანია - Georgian Holidays;
- ტურისტული კომპანია - Travel To Georgia;
- ტურისტული კომპანია - Travco Corporation Limited;
- ტურისტული კომპანია - I Am Georgia;
- ტურისტული კომპანია - Rustar Online;
- ავია კომპანია - Turk Hava Yollari;
- ავია კომპანია - Tav Urban Georgia;
- BOOKING.COM B.V;
- EXPEDIA LODGING PARTNER SERVICES SARL.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივი ოფისის მეშვეობით, არ გააჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ გეგმავს ამ მოდელის შეცვლას. 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის საშტატო განრიგი შეადგენს - 125 თანამშრომელს.


დღეის მდგომარეობით ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რამდენიმე ტურისტულ კომპანიასთან, აღნიშნულ კომპანიებთან სასტუმროს ურთიერთთანამშრომლობის გრძელვადიანი გამოცდილება გააჩნია და მიღებული აქვს ასევე რამდენიმე კომპანიიდან მსხვილი ავანსები, რაც იძლევა გარანტიას სასტუმროს სტაბილურად მზარდ ფუნქციონირებაზე.

კომპანია გეგმავს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტურისტულ გამოფენებში, ერთ-ერთი მაგალითია 2023 წლის იანვრის თვეში დაგეგმილი ღონისძიება თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში. ღონისძიების სახელწოდებაა EMITT 2022, რომელიც ტარდება ყოველწლიურად და მას სტუმრობს 60 000 ვიზიტორზე მეტი სხვადასხვა ქვეყნებიდან. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებით იზრდება სასტუმროს ცნობადობა და შემომსვლელი ტურისტების რაოდენობა.


ორგანიზაციამ სასტუმრო სექტორში ოპერირება აქტიურად 2017 წელს დაიწყო. ბაზარზე არსებული კონკურენციის მიუხედავად, კომპანიის მიერ წარმოებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად დინამიურად იზრდებოდა ვიზიტორთა რაოდენობა, რომლის თვალნათელი მაგალითია ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამები.




სურათი №1



სურათი №2



სურათი №3



სურათი №4

4. კომპანიის კაპიტალი

კომპანიის ზოგადი სტრატეგია 2016 წლიდან უცვლელია. კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისა და საწესდებო კაპიტალისაგან.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს დებიტორების მიერ დავალიანებების არ გადახდა. აღნიშნული რისკის აღბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები გაანალიზებულია და აღნიშნულის შესამცირებლად შემუშავებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ასევე დანერგილია საერთაშორისო პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც კომპანია ოპერატიულად იღებს ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს და ამ ინფორმაციის საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ვალის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით.

4. კომპანიის კაპიტალი

კომპანიის ზოგადი სტრატეგია 2016 წლიდან უცვლელია. კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისა და საწესდებო კაპიტალისაგან.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს დებიტორების მიერ დავალიანებების არ გადახდა. აღნიშნული რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები გაანალიზებულია და აღნიშნულის შესამცირებლად შემუშავებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ასევე დანერგილია საერთაშორისო პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც კომპანია ოპერატიულად იღებს ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს და ამ ინფორმაციის საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ვალის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით.

